

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „ელექტროქსელის მოწყობისა და ელექტროდანადგარების უსაფრთხოების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

დღეს საქართველოში ელექტრო გაყვანილობასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულება ხორციელდება შესაბამისი ლიცენზიისა და კვალიფიკაციის არმქონე სუბიექტების მიერ, მთელ რიგ შემთხვევებში, ისეთი კადრების (პერსონალის) მეშვეობით, რომელთაც შესაბამისი კვალიფიკაცია და ცოდნა არ გააჩნიათ (დღეისათვის არ გაიცემა სამუშაოს განხორციელების ლიცენზია, შესაბამისად სათანადოდ არ მოწმდება ცოდნისა და გამოცდილების ხარისხი, არ გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი და ა.შ.) და ყველაზე მთავარი, არ არსებობს ელექტრული ქსელების მოწყობისა და ელექტროენერგეტიკული დანადგარების/მოწყობილობების უსაფრთხო ექსპლუატაციაზე ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანო, რაც მნიშვნელოვანად ზრდის უბედური შემთხვევების, მათ შორის, ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებისა და სიცოცხლის მოსპობის რისკებს.

უფრო დეტალურად რომ დავინახოთ პროცესი, სიტუაცია არის შემდეგი:

- ელექტრო გადამცემი და განაწილების სისტემის წერტილიდან აღრიცხვის კვანძამდე სამუშაოებს ასრულებს შესაბამისი გადაცემისა და განაწილების ლიცენზიანტი (მათი კონტრაქტორი კომპანიები), რომლებსაც უმეტეს შემთხვევაში ჰყავთ კვალიფიციური პერსონალი, თუმცა არ არსებობს სისტემატიზებული მიდგომა, რომელიც ერთიანი სიტემით გააკონტროლებს ასეთი სამუშაოების შესრულებისა და პერსონალის კვალიფიკაციას ხარისხს, და ეს საკითხი, ძირითად შემთხვევაში, თავად ამ კომპანიების კეთილსინდისიერების იმედად არის დარჩენილი.
- აღრიცხვის კვანძიდან მიერთების წერტილებამდე (მათ შორის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, მცირე და მსხვილი მეწარმეები, კომერციული ფართები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სკვერები, ბაზრობები, სავაჭრო ცენტრები და ა.შ.) სამუშაოებს ასრულებენ ძირითადად ისეთი სამშენებლო კომპანიები, რომელთა საქმიანობის ხარისხი არ არის სათანადოდ კონტროლირებადი, ამასთან ერთად, უცნობია რამდენად კვალიფიციური თანამშრომლები ჰყავთ, რა გამოცდილება გააჩნიათ, რამდენად ხარისხიანად ასრულებენ სამუშაოებს, რამდენად სწორად არის

დაგეგმილი ელექტრული ქსელის განაწილების პროექტი, რამდენად სწორად არის განსაზღვრული შესაბამისი რისკები და უსაფრთხოების პარამეტრები და სხვ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საკითხი ძირითად შემთხვევაში დაურეგულირებელია, რაც მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ აყენებს როგორც ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ასევე ობიექტების მდგრადობასა და ფინანსურ კეთილდღეობას. აღსანიშნავია ისიც, რომ არ არსებობს ელექტრული ქსელის მოწყობისა და ელექტროდანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციაზე კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო-სააგენტო, შესაბამისად არც სათანადო სისტემატიზებული მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს შემსრულებელი კომპანიების საქმიანობის კონტროლს და შესრულების ხარისხს, რითიც დაცული იქნება უსაფრთხოების ნორმები, საფრთხე არ შეექმნება ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, შესაბამისად, თავიდან იქნება აცილებული ქსელში ავარიები, ავარიული გამორთვები და ა.შ.

პრობლემის რეალურად საჩვენებლად გასათვალისწინებელია ბოლო პერიოდში მომხდარი უბედური შემთხვევები, როდესაც ელექტრო გაყვანილობის უსაფრთხოების წესების დარღვევას მსხვერპლი მოჰყვა და ასევე აღსანიშნავია ისეთი უბედური შემთხვევები, როდესაც მოუწესრიგებელმა ელექტრო გაყვანილობამ ხანძრის გაჩენა და დიდი ზარალი გამოიწვია. ასევე, აღსანიშნავის ბოლო პერიოდში მომხდარი არაგეგმიური (ავარიული) გამორთვების შესახებ ინფორმაცია, რასაც სტრატეგიული ობიექტების ელექტრო ენერჯის გარეშე დარჩენა მოყვა:

- 2021-2022 - თბილისი, საქალაქო სასამართლო, შვიდი შემთხვევა;
- 2020-2022 - თბილისი, უზენაესი სასამართლო, რვა შემთხვევა;
- 2020-2022 – თბილისი, ლუგარის ლაბორატორია, ათი შემთხვევა;
- 2021-2022 – თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფო, ექვსი შემთხვევა;
- 2020-2022 – თბილისი, იაშვილის კლინიკა, თორმეტი შემთხვევა;
- 2020-2022 – თბილისი, ღუდუშაურის კლინიკა, ოცდარვა შემთხვევა;
- 2020-2022 – ბათუმი, რესპუბლიკური საავადმყოფო, ოცდაექვსი შემთხვევა;
- 2020-2022 – ქუთაისი, ბავშვთა საავადმყოფო, ოცდარვა შემთხვევა;
- 2020-2022 – ზუგდიდი, ცენტრალური საავადმყოფო, ოცდაცხრა შემთხვევა;
- 2020-2022 – თელავი, ცენტრალური საავადმყოფო, ორმოცდაცხრა შემთხვევა;

კანონპროექტის მიღება ასევე ხელს შეუწყობს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და ენერგეტიკული თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ისეთი პრინციპების გაზიარებას, როგორიცაა:

- ელექტროენერჯის უწყვეტი და უსაფრთხო მიწოდების უზრუნველყოფა;
- ევროპულ ბაზართან ინტეგრაციის შესაძლებლობის გაზრდა;

- ენერგეტიკული თანამეგობრობის დამკვიდრებული ზოგადი სტანდარტების დანერგვა;
- ქვეყანაში ენერგეტიკული (მათ შორის, ელექტრული სამუშაოების) უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვა;
- ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა;
- ელექტრომოწყობილობა დანადგარების გამართული ფუნქციონირება;
- უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბება.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ IEC (საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის) სტანდარტიზაციის ორგანიზაციის წევრებს წარმოადგენენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ენერგეტიკული გაერთიანების წევრი და კონტრაქტორი ქვეყნები და ისეთი სახელმწიფოები როგორცაა დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. მათ შორის, ორგანიზაციის ასოცირებული წევრია საქართველო. აღსანიშნავია ისიც, რომ IEC-ის ასოცირებული წევრობა შესაძლებლობას აძლევს ქვეყანას, მოითხოვოს და მიიღოს სხვა წევრი ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია, რაც დაეხმარება მას ამ ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით ჩამოაყალიბოს შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო და კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილი იქნას:

- ქვეყანაში ენერგეტიკული (მათ შორის, ელექტრული სამუშაოების) უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვა;
- ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა;
- ელექტრომოწყობილობა დანადგარების გამართული ფუნქციონირება;
- უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბება.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

შეიქმნება საკანონმდებლო მექანიზმი, რომლის თანახმადაც:

- ელექტრო გაყვანილობებისა და ელექტრო დანადგარების მოწყობის სამონტაჟო სამუშაოები განხორცილდება ერთიანი სტანდარტების მიხედვით, შესაბამისი ლიცენზიის მქონე იურიდიული პირების მიერ, რითიც დაცული იქნება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და უსაფრთხოების ნორმები;
- შეიქმნება სახელმწიფო ენერგო ზედამხედველობის ორგანო-სააგენტო, რომელიც ექსკლუზიურად გასცემს ზემოთ აღნიშნულ იურიდიულ პირებზე საქმიანობის ლიცენზიას, უზრუნველყოფს შესაბამისი კადრების გადამზადება-სერტიფიცირებას, მოახდენს ელექტრული ქსელების ტექნიკურ შემოწმებას, გასცემს შესაბამის დასკვნას და განახორციელებს შესრულების მონიტორინგს.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

ახალი კანონის მიღების შედეგად:

- ელექტრული ქსელების მოწყობა გახდება კონტროლირებადი და მართვადი, შესაბამისად მეტად უსაფრთხო და მდგრადი;
- გაჩნდება ლიცენზირებულ კომპანიათა ელექტრონული რეესტრი, რომელიც საშუალებას მისცემს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეარჩიოს ესა თუ ის ლიცენზირებული კომპანია ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოების საწარმოებლად;
- 10 კილოვატი და მასზე მეტი სიმძლავრის ობიექტებზე შეუძლებელი გახდება ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელება არალიცენზირებული/არასერტიფიცირებული სუბიექტების მიერ;
- დღეისათვის არსებულ ელექტრულ ქსელებში უსაფრთხოება და მდგრადობა შემოწმებადი იქნება შესაბამისი სააგენტოს კვალიფიციური თანამშრომლების მიერ, გაიცემა დასკვნები, რომელშიც დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება განხორციელდება მხოლოდ ლიცენზირებული/სერტიფიცირებული სუბიექტების მიერ;
- სააგენტოს შემოსავლის ძირითადი წყარო იქნება ლიცენზირების/სერტიფიცირების მოსაკრებელი (რომელიც ასევე მოიცავს ლიცენზირებული კომპანიების საქმიანობიდან მიღებული შემოსავალს), რაც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე პირდაპირი გავლენის გარეშე უზრუნველყოფს ენერგეტიკული სფეროს რეგულირებას და უსაფრთხო გარემოს შექმნას;
- ლიცენზირებული კომპანიების სამეწარმეო საქმიანობა იქნება მეტად გამჭვირვალე, მოხდება მხოლოდ სერტიფიცირებული პირების დასაქმება, რომლებზეც გადახდილი ხელფასები იქნება აღრიცხვადი და სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის ოდენობები ზუსტად გამოთვლადი;
- დღეისათვის ქვეყნის მასშტაბით ელექტრო ქსელებში არსებული რთული მდგომარეობა მაქსიმალურად გამოსწორდება, მინიმუმზე დაიწვეს არაგეგმიური (ავარიული) გამორთვების რაოდენობა, მოხდება მომხმარებელთა ელექტრო მომარაგების კომერციული ხარისხის მაჩვენებლების, კერძოდ კი DAISI-ს და SAIFI-ს სამიზნე მაჩვენებლების გაუმჯობესება რაც თავის მხრივ წარმოადგენს მომხმარებლების ელექტრო მომარაგების საიმედოობის ამაღლების პირობას;
- სწრაფი ტემპით დაიწყება სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები თანამედროვე სტანდარტების დაცვით, დასაქმდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანთა დიდი ნაწილი, ხელი შეეწყობა საქართველოში წარმოებული ელექტრული საქონლის რეალიზაციას და მინიმუმადე დაიწვეს ავარიების და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მომტანი რისკები;

- მოხდება ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და გაიზრდება დასაქმებული და გადამზადებული კადრების რაოდენობა;

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

იქმნება ახალი კანონი „ელექტროქსელის მოწყობისა და ელექტროდანადგარების უსაფრთხოების შესახებ“, ასევე, თანმდევ საკანონმდებლო აქტებში განხორციელდება ცვლილებები, რომლის თანახმადაც:

შეიქმნება სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო (სსიპ - ენერგო უსაფრთხოებისა და ზედამხედველობის სახელმწიფო სააგენტო), რომელიც გასცემს ლიცენზიას იმ იურიდიულ პირებზე, რომლებიც უშუალოდ განახორციელებენ ელექტრულ სამუშაოებს (მშენებლობისას, რეაბილიტაციისას, რემონტისას) და რომლის დაფინანსების ძირითადი წყარო თავად ასეთი იურიდიული პირებისგან მიღებული შემოსავალი იქნება. ასევე, დადგინდება ლიცენზიის მისაღებად/სერტიფიკატის მისაღებად საჭირო მოსაკრებელი, დადგინდება მოსაკრებელი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც სააგენტოს წარმომადგენლები, შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე შეამოწმებენ სხვადასხვა ობიექტებს, მათში არსებული ელექტრული გაყვანილობების მდგრადობის შესამოწმებლად.

სააგენტოს დაუდგინდება ვალდებულება ლიცენზირებული კომპანიების რეესტრის შექმნის თაობაზე, მათი საქმიანობის კონტროლის/ანგარიშგების/პერიოდული შემოწმების ფორმისა და წესის შემუშავების თაობაზე;

განხორციელდება ცვლილებები მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ექსპლუატაციაში მიღების ნაწილში, რაც გამორიცხავს ამ ცვლილების ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ ობიექტებში ამგვარი სამუშაოების წარმოებას არალიცენზირებული კომპანიების მიერ.

განისაზღვრება შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომები ლიცენზიისა და შესაბამისი სერტიფიკატის გარეშე ელექტრო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში.

შემოღებული იქნება სერტიფიცირების წესი, რომლის თანახმადაც, კომპანიებში დასაქმებული პირები, ვინც უშუალოდ განახორციელებენ ელექტრო ტექნიკურ სამუშაოებს, ვალდებულები გახდებიან შესაბამისი გადამზადების შედეგად მოიპოვონ უსაფრთხოების სერტიფიკატი. ამასთანავე, განისაზღვრება გადამზადებისა და სერტიფიცირების წესი და პირობები.

დგინდება სააგენტოს ანგარიშვალდებულების საკითხი. ამასთანავე, კანონპროექტით განისაზღვრება იმ დოკუმენტების შემუშავებისა და დამტკიცების ვალდებულება,

რომელიც გამომდინარეობს ცლილებიდან და რომელთა არსებობაც აუცილებელია წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.

ა.დ) ანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში)

ეს ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილი კანონის პროექტის მიმართ (კანონის პროექტი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ);

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისათვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონის მიღება უკუძალის მიღებას არ ითვალისწინებს. რაც შეეხება კანონის ამოქმედებას, ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი - მე-19-ე მუხლებისა, 2023 წლის 1 დეკემბრიდან; ამ კანონის მე-10 - მე-16 მუხლები ამოქმედდება 2023 წლის 1 იანვრიდან; ამ კანონის პირველი და მე-2 მუხლი, მე-3 მუხლის პირველი - მე-3 პუნქტები და მე-4 - მე-9 და 17 მუხლები ამოქმედდება 2024 წლის 1 მარტიდან; კანონის მე-3 მუხლის მე-4 - მე-6 პუნქტები და მე-18 და მე-19 მუხლები ამოქმედდეს 2024 წლის 1 ივლისიდან. აღნიშნულის ასეთად განსაზღვრის პრინციპი გამომდინარეობს იქიდან, რომ ერთი მხრივ, თავად სააგენტოს შექმნას და სტრუქტურულ გამართულობას სჭირდება შესაბამისი დრო, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნულ სფეროში მოღვაწე იურიდიულ პირებს/ფიზიკურ პირებს თუ იმ ობიექტებს, რომელზე ზემოქმედებასაც ეს კანონი გაითვალისწინებს, მიეცეთ გონივრული ვადა ასეთი ცვლილების გაცნობისა და შესაბამისი პრინციპით მუშაობის განხორციელებისთვის და ასევე, მიღებული იქნას შესაბამისი დოკუმენტები რომლებიც საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის ინიციატორის მიერ კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა მოთხოვნილი არ არის;

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი, ხოლო სააგენტოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების შემდეგ, სააგენტოს დაფინანსების წყაროდ განისაზღვრება საკუთარი შემოსავლები.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს:

სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე შემდეგი კუთხით - კანონპროექტით დგინდება იურიდიული პირების ლიცენზირების ვალდებულება (შესაბამის რეგულირებად სფეროში) და შესაბამისად, წესდება ლიცენზირების საფასური - 200 000 ლარის ოდენობით, რომელიც, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმართული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში. გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ასეთი რამდენი იურიდიული პირი აიღებს ლიცენზიას 2024 წლის 1 მარტიდან 2024 წლის 1 ივლისამდე პერიოდში (გარდამავალი პერიოდი) და ასევე, გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდეგ (მას შემდეგ რაც, 10 და მეტი კილოვატი სიმძლავრის ობიექტებზე ელექტრული ქსელების მოწყობა/შეკეთება უნდა განხორციელდეს მხოლოდ ლიცენზირებული იურიდიული პირების მიერ) რამდენი ახალი იურიდიული პირი დარეგისტრირდება ლიცენზიის მფლობელად. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ლიცენზიის მოქმედების ვადა არის 2 წელი და შესაბამისად, თითოეული ლიცენზირებული იურიდიული პირის მხრიდან აღნიშნული სალიცენზიო მოსაკრებელი გადაიხდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ამ ეტაპზე ამგვარი პროფილური იურიდიული პირები ცალკე სტატუსით არ არსებობენ.

ამასთანავე, სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენას მოახდენს ადმინისტრაციული ჯარიმებიდან (მუხლი 19) მიღებული შემოსავალი იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ჯარიმის შეფარდების საჭიროება დადგება. რაც შეეხება შემოსავლის რაოდენობას, ეს დამოკიდებულია გამოვლენილ სამართალდარღვევათა რაოდენობაზე და ჩადენილი დარღვევის სიმძიმეზე და მის შინაარსზე.

ასევე, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე დადებით ზეგავლენას მოახდენს როგორც სააგენტოს (მათ შორის, სააგენტოში დასაქმებულ პირთა მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი) ისე ლიცენზირებულ იურიდიულ პირთა მიერ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებით გადახდილი გადასახადები.

გარდა ამისა, როგორც სააგენტოს დირექტორის ბრძანებით გათვალისწინებული სერტიფიცირების საფასური, ისე მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული რეგულირების საფასური მიმართული იქნება სააგენტოს საკუთარ შემოსავლებში. გასათვალისწინებელია, რომ კანონპროექტის თანახმად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების გამოცემა უნდა განხორციელდეს 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 მარტამდე პერიოდში. რეგულირების ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების კონკრეტული რაოდენობა დამოკიდებული იქნება სერტიფიცირების მსურველთა რაოდენობაზე. ასევე, სააგენტოს შემოსავლების წყარო იქნება სერტიფიცირების მოსამზადებელი კურსის გავლისთვის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული საფასური, თუ ასეთი შემოსავალი გადააჭარბებს სააგენტოს მიერ ზემოაღნიშნული კურსისთვის გაღებულ ხარჯებს, რაც დაკავშირებული იქნება შესაბამისი კურსის გავლის მსურველთა რაოდენობაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

2024 წელს - სააგენტოს შემნისა და უფლებამოსილების განხორციელებისათვის (ერთი წლის სახელფასო ფონდი - დაახლოებით 40 თანამშრომელი - 1 662 000 ლარი; საოფისე ტექნიკისა და სხვა მატერიალური რესურსისთვის საჭირო ხარჯები - 775 000 ლარი; ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ხარჯები - 320 000 ლარი) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად (პირველ ეტაპზე დაფინანსების მიზნით) გამოსაყოფი თანხის ოდენობა შეადგენს დაახლოებით 2 757 000 ლარს;

2025 წელს და შემდგომ - სააგენტოს დაფინანსების წყარო იქნება საკუთარი შემოსავლები, რომლის შედეგადაც მოხდება მომდევნო წლების ბიუჯეტის ფორმირება. ეს დამოკიდებული იქნება სააგენტოს უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებათა მასშტაბზე, ამ უფლებამოსილების განხორციელებით მიღებულ შემოსავლებზე, რის შედეგადაც, შესაბამისი პროპორციულობით მოხდება სააგენტოს ბიუჯეტის ზრდა მომდევნო წლებში. შეაბამისად, 2024 წლის შემდეგ სააგენტოს საქმიანობა გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. რაც შეეხება სააგენტოსათვის გადასაცემ ქონებას, აღნიშნული საკითხი დეტალურად იქნება შესწავლილი და მთავრობასთან შეთანხმებით განხორციელებული მას შემდგომ, რაც სააგენტო სრულყოფილად დაიწყებს ფუნქციონირებას და სახეზე იქნება კონკრეტული საჭიროებები და ამ საჭიროებების მასშტაბები. ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებამდე, სააგენტოს განთავსებასთან დაკავშირებით განიხილება სხვადასხვა ალტერნატივა.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებას, რომელიც ზეგავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე და არ მოითხოვს დამატებითი ადამიანური რესურსის გამოყოფას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

ასეთი ვალდებულებები არ არსებობს

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი მოახდეს გავლენას სხვადასხვა პირთა ჯგუფზე, კერძოდ:

1. იმ იურიდიულ პირებზე, რომლებიც გადაწყვეტენ განახორციელონ კანონით რეგულირებად სფეროში საქმიანობა და ამისათვის აიღონ შესაბამისი ლიცენზია 2 წელიწადში ერთხელ. შესაბამისად, ასეთ იურიდიულ პირს, ორ წელიწადში ერთხელ მოუწევს ლიცენზიის საფასურის - 200 000 ლარის გადახდა;
2. ლიცენზირებულ იურიდიულ პირებზე იმ შემთხვევაში, თუ ისინი გადაწყვეტენ მასთან დასაქმებული პირების სერტიფიცირების საფასურის (რომლის ოდენობა და გადახდის წესი დადგინდება შესაბამისი სამართლებრივი აქტით) შესაბამისი პერიოდულობით გადახდას;
3. იმ ფიზიკურ პირებზე, რომლებიც გადაწყვეტენ გაიარონ კანონითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სერტიფიცირება და გადაიხადონ შესაბამისი საფასური წელიწადში ერთხელ (სერტიფიკატის მოქმედების ვადიდან გამომდინარე). ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ფიზიკური პირები, რომლებიც დღეს ახორციელებენ იგივე მიმართულებით საქმიანობას, არ ჩაითვლებიან სერტიფიცირების სავალდებულოდ გასავლელ პირებად, თუ ისინი საქმიანობას არ განახორციელებენ 10 და მეტი კილოვატი სიმძლავრისა და მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ არეალში მყოფ ობიექტებზე;
4. იმ ფიზიკურ პირებზე, რომლებსაც ექნებათ სურვილი გაიარონ სერტიფიცირების მოსამზადებელი კურსი და გადაიხადონ სააგენტოს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული საფასური;
5. იმ ფიზიკურ პირებზე, რომლებიც დასაქმდებიან სააგენტოში და ამისათვის მიიღებენ შესაბამის სახელფასო ანაზღაურებას;

6. იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც ჩაიდენენ ამ კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას და მოუწევთ შესაბამისი საჯარიმო სანქციის გადახდა.
7. იმ პირებზე, რომელთა ობიექტებზეც სააგენტოს მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგად გამოვლინდება შესაბამისი დარღვევები/ხარვეზები, რის აღმოსაფხვრელადაც შესაძლოა საჭირო იყოს დამატებითი ფინანსური და ადამიანური რესურსის მობილიზება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

პაკეტში შემავალი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით, განისაზღვრება იურიდიული პირების მიერ მისაღები ლიცენზიისთვის დაწესებული საფასური 200 000 ლარის ოდენობით, ასევე, კანონპროექტი ითვალისწინებს სერტიფიცირებისა და სასერტიფიცირო კურსის გავლისთვის საფასურის დაწესებას (რომელიც არა უგვიანეს 2024 წლის 1 მარტამდე განისაზღვრება სააგენტოს დირექტორის ბრძანებით), რაც გამომდინარეობს კანონპროექტით გათვალისწინებული რეგულირების სფეროს მასშტაბიდან და შესაბამისი საჭიროებებიდან. რაც შეეხება საჯარიმო სანქციებს, ის დეტალურად არის მოცემული კანონპროექტის მე-19 მუხლში, რაც პირდაპირპროპორციულია დარღვევის ხასიათთან, სიმძიმესთან და სამომავლო დარღვევის ჩადენის პრევენციასთან.

ბ¹) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წარმოდგენილი კანონპროექტი დადებით გავლენას იქონიებს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მაღალი სტანდარტით დაცვის უზრუნველყოფით.

ბ²) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

ინიციატორთა მოსაზრებით კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე;

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს. აგრეთვე, არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას;

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები განხორციელდა, როგორც ელექტროენერჯის გადაცემის ისე მიწოდების ლიცენზიანტებთან, ასევე საქართველოს ბიზნესმენტა ასოციაციასთან.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

მათი მოსაზრებები გათვალისწინებულია კანონპროექტში;

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ძირითადი ინფორმაციის თანახმად დგინდება, რომ წამყვან განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში ეს საკითხი (ელექტრო კომპანიების ლიცენზირების ან/და ელექტრიკოსების სერტიფიცირების ვალდებულება) მკაცრად რეგულირებულია და ითვლება, რომ როგორც სამშენებლო უსაფრთხოებისა და მდგრადობის, ისე ადამიანთა

ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უსაფრთხოებისთვის, აღნიშნულის ამგვარი სახით რეგულირება აუცილებელია, მაგალითისათვის:

- ხორვატია

ხორვატიის კანონმდებლობით გათვალისწინებულია ელექტრო მოწყობილობების პერიოდული ინსპექტირებისა და ტესტირების ჩატარების ვალდებულება. შემოწმება ხორციელდება ელექტრო მოწყობილობების თაობაზე დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით (*HRN EN60364*). აღნიშნული სტანდარტები მიღებული სტანდარტიზაციის ორგანიზაციის - IEC მიერ. საწყისი/პირველი შემოწმება ხორციელდება ახალი მოწყობილობის დასრულების შემდეგ (მის ჩართვამდე), ხოლო არსებული მოწყობილობის შემთხვევაში - მისი შეკეთების/შეცვლის/რემონტის დასრულების შემდეგ.

- პოლონეთი

პოლონეთის კანონმდებლობის მიხედვით, მხოლოდ ელექტრიკოსის კვალიფიკაციის მქონე პირებს შეუძლიათ ელექტრო გაყვანილობებისა და ელექტრო დანადგარების მონტაჟის საქმიანობის წარმოება. ელექტრიკოსის ლიცენზიის მისაღებად მსურველებმა უნდა ჩააბარონ შესაბამისი გამოცდა, რომელიც ეფუძნება ენერგეტიკის შესახებ კანონს. ყველაზე მოთხოვნადი ლიცენზიაა G1, რომელის იძლევა 1კვ-მდე ვოლტაჟის მოწყობილობებთან დაშვებას. აღნიშნულ ლიცენზიას, შესაბამისი კურსის გავლისა და გამოცდის ჩაბარების შემდეგ, გასცემს პოლონეთის ელექტრო ინჟინრების გაერთიანება.

- ლატვია

„რეგულირებადი პროფესიების შესახებ“ ლატვიის კანონის მიხედვით ელექტრო ინჟინრად და ელექტრო მოწყობილობების სპეციალისტად მუშაობისათვის საჭიროა პირს გააჩნდეს პროფესიული განათლების დამდასტურებელი შესაბამისი დონის დიპლომი და ელექტრიკოსის/ ელექტრო მოწყობილობების სპეციალისტის კვალიფიკაცია. კანონის მიხედვით პროფესიულ საქმიანობაში დამატებითი პროფესიული კვალიფიკაციის დამდასტურებელი სერტიფიკატია საჭირო თუ აღნიშნული გათვალისწინებულია ენერგეტიკის შესახებ კანონმდებლობაში.

- ესტონეთი

ესტონეთში ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები იყო სამ კატეგორიად, პირველი კატეგორიაა მაღალი რისკის (მაგ: ბენზინგასამართი სადგური), მეორე კატეგორია მოიცავს დაბალი ძაბვის ელექტრო სამუშაოების რომელთა ძირითადი დაცვა შეადგენს 35 ამპერზე მეტს (მაგ.: კომერციული და საოფისე შენობები და ა.შ.) და მესამე კატეგორია მოიცავს ელექტრო სამუშაოებს, რომლის დაცვა შეადგენს 35 ამპერს ან

ნაკლებს. ესტონეთის კანონმდებლობის თანახმად, ელექტრო დანადგარების ექსპლუატაცია და ელექტრული სამუშაოები უნდა განხორციელდეს კარგი პრაქტიკის შესაბამისი ნორმატიული აქტის მოთხოვნების მიხედვით. ასევე, წერილობით უნდა შედგეს ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების გეგმა. მთელ რიგ შემთხვევებში (მაგ.: მაღალის რისკის შენობებში, საავადმყოფოებში და ა.შ.) ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების უსაფრთხოდ განხორციელებისთვის პასუხისმგებელმა პირმა (მესაკუთრემ ან მფლობელმა) უნდა დანიშნოს ზედამხედველი ელექტრო სამუშაოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირი უნდა ფლობდეს შესაბამის სერტიფიკატს. არსებობს სხვადასხვა დონის სერტიფიკატები შესასრულებელი სამუშაოდან გამომდინარე. როგორც წესი, კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერტიფიკატებს 5 წლის ვადით გასცემს პროფესიული განათლების პალატა. ასევე, ესტონეთში არსებობს ჩამონათვალი იმ სამუშაოებისა, რომლის შესრულებაც შეუძლიათ არაპროფესიონალ (სერტიფიკატის არმქონე) ელექტრიკოსებს.

- ნორვეგია

ნებისმიერი კომპანია, რომელიც ახორციელებს ელექტროობასთან დაკავშირებულ საქმიანობას, რეგისტრირებულ უნდა იყოს შესაბამის უწყებაში და ჰქონდეს ამ კუთხით მუშაობის სპეციალური ლიცენზია. რეგისტრაციის წინაპირობაა, რომ ამ კომპანიის თანამშრომლებს ჩაბარებული ქონდეთ შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდები. ელექტრიკოსისათვის განსაზღვრულია ორ-წლიანი თეორიული 2.5 წლიანი პრაქტიკული კურსის გავლა, რის შემდეგაც აბარებენ გამოცდებს და იღებენ შესაბამის კვალიფიკაციას.

- ისრაელი

ისრაელის კანონმდებლობის მიხედვით ნებისმიერ ადამიანს, რომელიც დაკავებულია ელექტროსამონტაჟო საქმიანობით, უნდა ჰქონდეს მოქმედი ლიცენზია რა სამუშაოს ასრულებს. ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება შესაბამისი ლიცენზიის არ ქონის შემთხვევაში ითვლება დანაშაულად. გაიცემა სხვადასხვა ტიპის ლიცენზიები და თითოეულ მათგანში დეტალურადაა აღნიშნული რა სამუშაოების შესრულება შეუძლია მის მფლობელს. ლიცენზიის მსურველებმა უნდა წარადგინონ განათლებისა და შესაბამისი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, იმის მიხედვით თუ რომელი კატეგორიის ლიცენზია სურთ. განცხადებს განიხილავს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რის შემდეგაც, კომისიის ფარგლებში აპლიკანტი გადის პროფესიულ გასაუბრებას. აპლიკანტი მოთხოვნილი ლიცენზიის მისაღებად იხდის დადგენილ გადასახადს.

- ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ეს საქმიანობა ლიცენზირებულია, რომლის გაცემის საკითხიც რეგულირდება შტატების კანონმდებლობით. ლიცენზიის გარეშე კომპანიას არ აქვს უფლება აწარმოოს ელექტრონული გაყვანილობის მონტაჟისა და სხვა ამგვარი სახის სამუშაოები. ელექტრიკოსებისათვის არსებობს რამდენიმე კატეგორია შესაბამისი კვალიფიკაციის მიღების ეტაპზე. შეგირდი, რომელიც 3-დან 5 წლამდე პროგრამას (მოიცავს სხვადასხვა თეორიული და პრაქტიკული კურსის გავლას) გადის, ამ პროგრამის გავლის პროცესში, ანუ იქამდე, ვიდრე ზედამხედველობის გარეშე შეეძლება დამოუკიდებლად მუშაობა. სტაჟიორ-ელექტრიკოსი, რომელსაც შეუძლია, ელექტრიკოსის მითითების შესაბამისად ზედამხედველობის გარეშე იმუშაოს და ელექტრიკოსი, რომელმაც დაასრულა შესაბამისი პროგრამა და მოიპოვა ამ მიმართულებით დამოუკიდებლად მუშაობის უფლება. გასათვალისწინებელია, რომ შესაბამისი ლიცენზიის მიღებისთვის, გამოცდების ჩაბარებასთან ერთად საჭიროა გარკვეული რაოდენობის პრაქტიკული სამუშაო დროის დაგროვება. (4000 – დან 6000 საათამდე).

ე) **კანონპროექტის ავტორი:** საქართველოს პარლამენტის წევრები: დავით სონღულაშვილი, გოჩა ენუქიძე, ანტონ ობოლაშვილი, რატი იონათამიშვილი, რამინა ბერაძე, ირმა ზავრადაშვილი, ირაკლი კირცხალია.

ვ) **კანონპროექტის ინიციატორი:** საქართველოს პარლამენტის წევრები: დავით სონღულაშვილი, გოჩა ენუქიძე, ანტონ ობოლაშვილი, რატი იონათამიშვილი, რამინა ბერაძე, ირმა ზავრადაშვილი, ირაკლი კირცხალია.